




№ 16-13/3037
PS 07 200 6/y

რეგიონალურ ცენტრებს (საგადასახადო
ინსპექციებს)/საგადასახადო ინსპექციებს

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2007 წლის 05 თებერვლის №3-02/857 წერილით და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 29 ივნისის №717 ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოთა (მათ შორის ინდივიდუალურ საწარმოთა), არასამეწარმეო (არაკომერციულ) ოურიდიულ პირთა, ფილიალების (წარმომადგენლობების) სახელმწიფო რეგისტრაციისა და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად 2006 წლის პირველი ივლისიდან შეიცვალა ამხანაგობების (ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობების) საგადასახადო აღრიცხვის აღრე არსებული წესი. კერძოდ, თუ წარსულში ორ ან მეტ პირს სურდა ამხანაგობის ჩამოყალიბების გზით ერთობლივად ეწარმოებინათ საქმიანობა, საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი სავალდებულოდ უნდა დამდგარიყო საგადასახადო აღრიცხვაზე (რეგისტრაციაზე) და ეწარმოებინა საგადასახადო ვალდებულების შესრულება ამხანაგობის სახელით. იმ შემთხვევაში თუ ამხანაგობის აღნიშნული წევრი უკვე იყო აფხანილი საგადასახადო აღრიცხვაზე (რეგისტრირებული) გადამხდელად და მინიჭებული ჰქონდა გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, ამხანაგობის საქმიანობისთვისაც გამოიყენებოდა იგივე საიდენტიფიკაციო ნომერი, ანუ ამხანაგობისთვის, როგორც პირისთვის უშუალოდ საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა.

ამჟამად ამხანაგობები განიხილებიან დამოუკიდებელ გადამხდელად და შესაბამისად მათ უნდა მიენიჭოთ საიდენტიფიკაციო ნომერი, საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დადგენილი წესის შესაბამისად.

ამასთან შეგახსენებთ, რომ ვინაიდან წარსულში (2006 წლის 1 ივლისამდე) ამხანაგობებს, როგორც დამოუკიდებელ გადასახადის გადამხდელებს, საიდენტიფიკაციო ნომრები არ ენიჭებოდათ (გამოიყენებოდა ამხანაგობის სახელით მოქმედი პირის საიდენტიფიკაციო ნომერი), ხოლო ამჟამად მოქმედი წესით ამხანაგობას უნდა გააჩნდეს საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომერი, აუცილებელია შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს ამხანაგობების საგადასახადო აღრიცხვის მონაცემებში. კერძოდ, საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ იმ ამხანაგობებს, 5/1134



რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომრები, უნდა მიენიჭოს საიდენტიფიკაციო ნომრები, ხოლო მათ საქმიანობაში ადრე გამოყენებული საიდენტიფიკაციო ნომრები უნდა ღარიყეს იმ პირებს (გადასახადის გადამხდელებს), ვისაც უშუალოდ მინიჭებული ჰქონდა აღნიშნული ნომრები.

აღსანიშნავია, რომ საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისას რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ გაცემულ „გადასახადის გადამხდელის“ მოწმობაში და მონაცემთა ერთიან კომპიუტერულ ბაზაში ამხანაგობის რეგისტრაციის თარიღად უნდა დაფიქსირდეს მისი პირველადი რეგისტრაციის/აღრიცხვის თარიღი.

ამასთან, უნდა მოხდეს ამხანაგობების საქმიანობაში ადრე გამოყენებული საიდენტიფიკაციო ნომრებით ღარიცხული და გადახდილი გადასახადების გამოჯვანა და შესაბამისი გადამხდელების პირადი აღრიცხვის ბარათებზე გადატანა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემთა ერთიანი კომპიუტერული ბაზის ანალიზის მიხედვით ჯერ კიდევ არსებობს ამხანაგობები, რომელთა მიმართ არ განხორციელებულა საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა მოქმედ კანონმდებლობის პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა. შესაბამისად გვევლებათ გაატაროთ ღონისძიებები, რათა უზრუნველყოთ აღნიშნული პროცედურები.

სამსახურის უფროსის მოადგილე



ირაკლი სირაძე



№ 16-12/16495
19 " 06 2009 წ/წ

თბილისის რეგიონალური ცენტრის
(საგადასახადო ინსპექციის) უფროსს
ბატონ მალხაზ ბიწაძეს

შემოსავლების სამსახურში განხილული იქნა თბილისის რეგიონალური ცენტრის
(საგადასახადო ინსპექციის) 2009 წლის 04 ივნისის №16-17-8/02-3250 წერილი,
რომლიც შეეხებოდა ამხანაგობების რეგისტრაციის პროცედურის დროს წარმოქმნილ
პრობლემებს.

აღნიშნული წერილის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით
„ბინათმესკუთრეთა ამხანაგობა“ არ განიხილება საწარმოდ მანამდე, სანამ არ
განახორციელებს სამეწარმეო (ეკონომიკურ) საქმიანობას, ვინაიდან საქართველოს
კანონის „ბინათმესკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ მე-16 მუხლის თანახმად, მას უფლება
აქვს ეწეოდეს არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდან მიღებული
შემოსავლიც, პირველ რიგში, გამოყენებული უნდა იქნეს ბინათმესკუთრეთა ამხანაგობის
წესდების შესაბამისად. ამ კანონით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად,
ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლის თანახმად „ბინათმესკუთრეთა
ამხანაგობა“ არ განიხილება არც ორგანიზაციად.

იუ შემდგომ პერიოდში, ზემოაღნიშნული სახის ამხანაგობას, თავისი საქმიანობიდან
უამომდინარე, წარმოქმნება საგადასახადო ვალდებულება (უშუალოდ გადასახადის
დახდის ვალდებულება ან საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება), იგი
ვალდებულია საგადასახადო ორგანოში დადგეს საგადასახადო აღრიცხვაზე, როგორც
გადასახადის გადამხდელი. შესაბამისად, მიენიჭება გადასახადის გადამხდელის
საიდენტიფიკაციო ნომერი და გაიცემა საგადასახადო აღრიცხვაზე დადგომის
დადასტურებული დოკუმენტი – „გადასახადის გადამხდელის მოწმობა“.
აქასთან შეგახსენებთ, რომ ვინაიდან წარსულში (2006 წლის 1 ივლისამდე)
ამხანაგობებს, როგორც დამოუკიდებელ გადასახადის გადამხდელებს, საიდენტიფიკაციო
ნომრები არ ენიჭებოდათ (გამოიყენებოდა ამხანაგობის სახელით მოქმედი პირის
საიდენტიფიკაციო ნომერი), ხოლო ამჟამად მოქმედი წესით ამხანაგობას უნდა გააჩნდეს
საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომერი, აქედან გამომდინარე აუცილებელია შესაბამისი
ცვლილებები განხორციელდეს ამხანაგობების საგადასახადო აღრიცხვის მონაცემებში.
კერძოდ, საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ იმ ამხანაგობებს, რომლებსაც არ გააჩნიათ
საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომრები, უნდა მიენიჭოს საიდენტიფიკაციო ნომრები, ხოლო

№1 22-06-2009 5/5773

საქმიანობაში ადრე გამოყენებული საიდენტიფიკაციო ნომრები უნდა დარჩეს იმ პირებს (გადასახადის გადამხდელებს), ვისაც უშუალოდ მინიჭებული ჰქონდა აღნიშნული ნომრები.

მეორე საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც განისაზღვრება ამხანაგობა „იმედი 2“-ს და მისი დამფუძნებლების საქმიანობა და სარეგისტრაციო მონაცემთა დაზუსტება, ვინაიდან რიგ შემთხვევებში ამხანაგობებს საქმიანობიდან გამომდინარე წარმოექმნებათ საგადასახადო ვალდებულებები (უშუალოდ გადასახადის გადახდის ვალდებულება ან საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება), შესაბამისად საგადასახადო მიზნებისათვის ისინი განიხილებიან საწარმოებად და უნდა აკმაყოფილებდნენ საგადასახადო აღრიცხვის პირობებს.

მსგავსი საკითხის წარმოშობის შემთხვევაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელობას განემარტოს აღნიშნულის შესახებ, რათა შემდგომში გადასახადის გადამხდელის მიერ გათვალისწინებული და შესრულებული იქნას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე მუხლით და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 08 მაისის №419 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის განსაზღვრული პირობები და ვალდებულებები.

ამასთან, საკითხის განსახილველად შემდგომში ვთხოვთ წარმოადგინოდ თქვენი პოზიცია.

სამსახურის უფროსის მოადგილე



ირაკლი სირაძე



№ 16-17/5209
24. 02 2009 წ/წ

ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის
(საგადასახადო ინსპექციის)
უფროსს ბატონ მაღნაზ ბიწაძეს

შემოსავლების სამსახურში განხილულ იქნა ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) №16-17-8/02-496 წერილი ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „კომფორტი“-ს (ს/ნ 202254684) შესახებ, რაზედაც მოვასხენებთ, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის შემოსავალი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული. შესაბამისად ზემოთხსენებულ ამხანაგობას შეუძლია აწარმოოს, ან შეწყვიტოს საქმიანობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მისი საიდენტიფიკაციო ნომრის გაუქმებას და ლიკვიდაციას.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ წერილობით მოწოდებული ინფორმაციიდან ვერ დგინდება, წარმოემა და შემდგომში შესრულებული იქნა თუ არა აღნიშნული ამხანაგობის, როგორც გადასახადის გადამხდელის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები. შესაბამისად საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის შესაბამისად გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობაზე განახორციელოს საგადასახადო კონტროლი მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

მართებულად მიგვაჩნია, რომ განმცხადებელს წერილობით განემარტოს აღნიშნულის თაობაზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, რათა შემდგომში მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდეს აღნიშნული ამხანაგობის გაუქმება (ლიკვიდაცია).

სამსახურის უფროსის მოადგილე

ირაკლი სირაძე

5/1682





N: 16-07/21504
13. 08 2009 წ/წ

ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრი
(საგადასახადო ინსპექცია)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 24 თებერვლის #391 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ნორმების გამოყენების თაობაზე გადასმდელთა წერილობით შეკითხვაზე წერილობითი პასუხის გაცემის შესახებ“ პროცედურული სახელმძღვანელოს მე-4 თავის 25.2 პუნქტის შესაბამისად შემოსავლების სამსახურმა განიხილა თქვენი 2009 წლის 21 ივლისის #16-17-8/02-4341 წერილში დაფიქსირებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სამომავლო მოთხოვნის უფლების დათმობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის მიზნებისათვის არ წარმოადგენს მიწოდებას. გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სამსახურის პოზიცია შემდეგია:

თქვენს მიერ აღწერილი ოპერაცია (სამომავლო მოთხოვნის უფლების დათმობა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის მიზნებისათვის წარმოადგენს საქონლის მიწოდებას.

ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „3“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამხანაგობის წილის (ქონებაზე წინასწარი რეგისტრაციის უფლების) მიწოდება, თუ ამ წილზე (უფლებაზე) არ არის მიმაგრებული/განპიროვნებული ქონება, გარდა წილის (უფლების) სანაცვლოდ ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღების შემთხვევისა, გათავისუფლებულია დღ-ისაგან.

უფროსის მოადგილე

ირაკლი სირაძე

შემოსავლების სამსახურის ტერმინალი, ტ.261119,
გლამ კვარცხელია, ტ.261117

